



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 646

28/10/2016

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის
დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტების სარემონტო სამუშაოების
ექსპლუატაციაში მიმღები სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 24 აგვისტოს სხდომის
ოქმის საჯაროდ გამოცხადების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, იმავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 62-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის და 57-ე მუხლის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტების სარემონტო სამუშაოების ექსპლუატაციაში მიმღები სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანლის - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის - გიორგი რევაზიშვილის მოხსენებითი ბარათის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსის - ქეთევან გილაშვილის 2016 წლის 25 ოქტომბრის №3126-02 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საჯაროდ გამოცხადდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტების სარემონტო სამუშაოების ექსპლუატაციაში მიმღები სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 24 აგვისტოს სხდომის ოქმი.
2. აღნიშნული სხდომის ოქმი გამოქვეყნდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ სტენდზე (მის: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. №9), ასევე განთავსდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sagarejo.ge)
3. დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნების ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სიღნაღის რაიონული სასამართლოს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში (მის: ქ. საგარეჯო,
ჯაფარიძის ქ.№4).

გიორგი გზირიშვილი

A handwritten signature in blue ink, appearing to be the name 'გიორგი გზირიშვილი' (Giorgi Gzirishvili).

გამგებელი